

უცხოური ქართველოლოგია KARTVELIAN STUDIES ABROAD

ჟერარ გარიტი
ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი

გიორგი მთაწმიდელის დამოწმება „ბალავარიანის“ ბერძნული რედაქციის წარმომავლობაზე*

დებატები „ბალავარისა და იოდასაფის“ ბერძნული რედაქციის ავტორის ვინაობაზე (BHG³ 224) თითქოსდა დასრულდა პ. პეეტერსის სტატიის „ბალავარისა და იოდასაფის პირველი ლათინური ვერსიისა და მისი ბერძნული დედნის შესახებ“¹ გამოქვეყნების შემდეგ; ხუთი წლის წინ დებატები მოულოდნელად განახლდა ფ. დოელგერის გამოკვლევის Dergriechische Barhlaam-Roman, ein Werk des h. Iohanes von Damaskos² პუბლიკაციით; ამ ნაშრომში ბიზანტიურ კვლევათა დიდოსტატი კატეგორიულად უარყოფს პ. პეეტერსის მანამდე საყოველთაოდ აღიარებულ დებულებას,³ რომლის თანახმადაც ეს თხზულება ბიზანტიურ ლიტერატურაში ათონზე იბერთა მონასტრის დამაარსებლის, იოანეს შვილმა და მიმდევარმა, ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა წმ. ეფთვიმემ (+1028 წლის 13 მაისი)⁴ შეიტანა. ბ-ნი დოელგერი ცდილობს დაგვანახოს, რომ ბერძნული რომანის იოანე დამასკელისთვის (VII-VIII სს) მიკუთვნება, – რაც ტრადიციულად მიღებული იყო

* Le témoignage de Georges l'Hagiorite sur l'origine du "Barlaam" grec, Le Muséon, 1958, LXXI, 1-2, გვ. 57-63.

1 Anal. Boll., 49, 1931, p.276, 312; პ. პეეტერსის დებულება მის მიერვე რევიზირებულია ნაშრომში: Commentaire du martyrologe romain (propylaeum ad Acta Sanctorum Decembris), Bruxelles, 1940, p. 551-552, n. 8.

2 Studia Patristica et Byzantina, I, Ettal, 1953.

3 ვრცელი რევიზიუმე საკითხის ვითარებისა, სანამ მას ფ. დოელგერი შეეხებოდა, იხ. სტატიაში H. Bacht, Barlaam u. Joasaph, in: Reallexikon f. Antike u. Christentum, I, 1950, col. 1193-1200.

4 წმ. ეფთვიმეს შესახებ იხ. M. Tarchnišvili, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur (Studi e Testi, 185), Vatican 1955, გვ. 126-154.

XIX ს-ის მიწურულამდე, შემდეგ კი აზრი შეიცვალა – საფუძვლიანად გაამყარა როგორც ხელნაწერი ტრადიციის გამოწველი ლევიტა, ასევე, რომანის კრიტიკულად შესწავლამ. ბ-ნი დოელგერის ნაშრომს მთელი რიგი ახალი გამოკვლევები მოჰყვა,⁵ რამაც პრობლემის მრავალი მონაცემი კიდევ უფრო გააღრმავა. „ექვთიმეს დებულების“ სასარგებლო წყაროებს შორის, პეეტერსის კვალობაზე შეგვახსენებდნენ წმ. გიორგი მთაწმიდელს (+1065 წლის 29 ივნისი), რომელიც წმ. იოანესა და ექვთიმეს ბიოგრაფი⁶ და მიმდევარი იყო; ივირონის დამაარსებელთა „ცხოვრებაში“; რომელიც 1044 წლამდე, ანუ ექვთიმეს გარდაცვალებიდან თხუთმეტიოდე წლის შემდეგ დაიწერა,⁷ გიორგი მართლაც ადასტურებს, რომ ექვთიმემ „ბალაჰვარი და აბუკურად და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად“ ამ დამოწმების მნიშვნელობა ამკარაა: იგი მომდინარეობს ავტორისაგან, რომელიც კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული ექვთიმეს ლიტერატურული საქმიანობის შესახებ და უძველესია მათ შორის, ვინც დიდ ქართველ მთარგმნელს „ბალავარის“ ბერძნულ სამყაროში შეტანას მიაწერს. ინტერესი, რომელიც უკავშირდება გიორგი ათონელის ამ ტექსტს, გვაიძულებს ზუსტად განვსაზღვროთ მისი მნიშვნელობა. მითუმეტეს, რომ იგი ძირითადად ციტირებულია და გამოიყენება პ. პეეტერსის მიერ 1923 წელს გამოქვეყნებული „წმ. იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ლათინური ვერსიის მიხედვით,⁸ რომელიც დღეისათვის, პრაქტიკულად ერთადერთი თარგმანი⁹ თუმცა მუდამ და ყველგან სიზუსტის ნიმუშს არ წარმოადგენს. ფრაგმენტი, რომელზედაც მოგახსენებთ, პეეტერსის „სამონასტრო ისტორიაში“ შემდეგნაირადაა წარმოდგენილი (გვ. 15): (Euthymius) ad ornamentum gentis nostrae editus sanctorum apostolorum instar linguam terramque Hiberorum illuminavit. Nam sicut testantur syngraphae quas in libris a se translatis inseruit, (vir) ille venerabilis ingenti suo labore ad ecclesiae nostrae illustrationem et

5 ბიბლიოგრაფია იხ. მ. თარხნიშვილის, Le muséon-ის ამავე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში Les deux recensions du “Barlaam” géorgien, კერძოდ, იხ. სქ. 4.

6 იხ. M. Tarchnišvili, in: Oriens Christianus, 38 (1954), p. 113; D. M. Lang in: Bull. School Or. Afr. St. 17 (1955), p. 307, 314-316; 20 (1957), p. 405-406; მისივე: The Wisdom of Balahvar, Londres, 1957, p. 61; P. Devos, in: Anal. Boll., 75 (1957), p. 85-88. – გიორგი მთაწმიდელის შესახებ იხ. M. Tarchnišvili, Literatur, p. 154-174.

7 იხ. P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes (Anal. Boll., 36-37, 1917-1919, გამოცემა 1923 წ.), p. 11-12; Tarchnišvili, literatur, p. 171.

8 P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes, p. 13-68.

9 ქართული „ცხოვრება“ რუსულად თარგმნა მ. საბინინმა 1872 წ. (Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, p. 127-160). რამდენიმე მოკლე ფრაგმენტის თარგმანი იხ. დ. მ. ლანგის ნაშრომში Lives and Legends of Georgian Saints, Londres, 1956, p. 155-165 (იხ. Le Muséon, 69, 1956, p. 405-406).

ornamentum universas disciplinas edoctus est: cuius operosam industriam concelebrant et peregrini et propinqui. Atque translatorum ab eo librorum suavitas, quasi aureae fistulae vox canora in universa terra personat, non Hiberiae modo sed etiam Graeciae: quippe qui Balahvarum, Abucuram, nonnullosque alios libros ex hiberico sermone in graecum converterit. ხოლო 1931 წ. გამოქვეყნებულ თავის ცნობილ სტატიაში იგივე ავტორი იმავე ტექსტს ასე თარგმნის:¹⁰ Sicut enim testantur syngraphae in libris ab eo translatis inscriptae, (vir) colendus labore suo omnem sapientiam perdidicerat, ad ecclesiarum nostrarum illustrationem et ornamentum. Cuius industria laetificat et peregrinos et propinquos, et translatorum ab eo librorum suavitas instar aureae fistulae vox canora in universa terra personat, non Hiberiae modo sed etiam Graeciae: siquidem Balahvari et Abucuram, nonnullaque alia scripta ex hiberio sermone in graecum convertit. როგორც ვხედავთ, მეორე თარგმანი ასწორებს პირველის ზოგ უზუსტობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში დარჩა ერთი, განსაკუთრებით სერიოზული შეცდომა, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს ტექსტის ინტერპრეტაციაზე. გადავხედოთ თბილისში, 1946 წ. ივ. ჯავახიშვილის კრიტიკულ გამოცემაში შეტანილ ქართულ დედას.¹¹ კონტექსტის უკეთ აღსაქმელად სრულად მოვიყვანთ ფრაგმენტს, რომელშიაც გვხვდება „ბალაჰვარის“ ხსენება.

5.1. რამეთუ ჭეშმარიტად ღირსი იყო და საყუარელი ღმრთისად ნეტარი მამად ჩუენი იოვანე, რომელმან იგი მსგავსად აბრაჰამისა უცხოებად აღირჩია და მწირობით (და სიგლახაკით) ცხორებად, და მისცა თავი თვისი მორჩილებასა სულიერთა მამათასა, ვინადაც მსგავსად მისსა ესეცა აღიდა ღმერთმან და სახელოვან ყო ყოვლითა სათნოებითა და უფროდს ყოვლისა სანატრელისა მის შვილისა მინიჭებითა, რომელ არს ნეტარი ეფთემე, რომლისა იგი სახელი ოდენ კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად, რომელი იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა განანათლა ქართველთა ენად და ქუეყანად. 2. რამეთუ, ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა მოღუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებელად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა, რომლისა

10 Anal. Boll., 49, 1931, p. 284

11 ივ. ჯავახიშვილი, გიორგი მთაწმინდელი. ცხორებად იოვანესი და ეფთემესი (ძველი ქართული ენის ძეგლები, 3), თბ., 1946, გვ. 15. ამ გამოცემის ტექსტი გარკვეული კუპიურებით იხ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., 1946, გვ. 178-179; (ციტირებული ტექსტი იხ. სტრ.14-26). პ.პეტერსის მიერ მოყვანილი ქართული ტექსტი (გვ. 283-284) არაფრით განსხვავდება კრიტიკული გამოცემის ტექსტისგან.

იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებად, ვითარცა ნესტვ ოქროსად კმამალალი ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუკურად და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად. ჩვენ მიერ პ. პეტერსის ორ თარგმანთან დაკავშირებით მითითებული უზუსტობა ეხება მეორე პარაგრაფის პირველ ფრაზას, რომელსაც იგი შემდეგნაირად თარგმნის: (vir) ille venerabilis ingenti suo labore universas disciplinas edoctus est, et (vir) colendus labore suo omnem sapientiam perdidicerat. დედანში ასე არაა ნათქვამი; სინამდვილეში ქართული ფრაზა ამბობს: „ამის [იოანეს] ღირსისა მოღუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა [წმ. ექვთიმე]“ ტექსტის შინაარსი ეჭვს არ ბადებს; ქართული ტექსტი იყენებს ჩვენებით ნაცვალსახელს „ამის“, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი მნიშვნელობა labore suo და თარგმანის huius digni (viri)-ს (ამის ღირსისა) შესაბამისი სიტყვები „მოღუაწებითა“-ზე დამოკიდებულ გენეტივშია და არა ნომინატივში, როგორც ეს პ. პეტერსის თარგმანებშია: (vir) ille venerabilis და (vir) colendus. მთელი თავის გაცნობისას ჩანს, რომ ავტორის სიტყვები ხოტბას ასხამს არა ექვთიმეს, არამედ მამამის იოანეს; თუ გიორგი ექვთიმეს ახსენებს, ეს იოანესთანაა დაკავშირებული. იმისათვის, რომ გვიჩვენოს იოანეს, ამ ახალი აბრაამის დიდება, საუბრობს მის შვილზე „რომლისა სახელი ოდენ კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად“: „სათნოებათა მისთა“ იოანეს სათნოებას გულისხმობს. ბიოგრაფი იოანეს მიაწერს ექვთიმეს საქმიანობის მთელ ღირსებას და განაგრძობს: „რამეთუ ვითარცა წამებენ მის (ექვთიმეს) მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის (იოანეს) ღირსისა მოღუაწებითა განსწავლულ იქნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებლად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა“, და ა.შ. ე.ი. წინადადება „რამეთუ ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი“ მხოლოდამხოლოდ იმ ფაქტს მიუთითებს, რომ ექვთიმეს განათლება განპირობებული იყო მამამისის, იოანეს ძალისხმევით. მართლაც, ეს ცნობა იკითხება, და თან გიორგის ანალოგიური სიტყვებით თხზულებაში, რომელიც ცნობილია „იოანეს ანდერძის“ სახელით და რომელიც ექვთიმესეულ თარგმანთა მრავალი ხელნაწერის ანდერძშია შეტანილი;¹² მასში ექვთიმეს მამა (+1002 წლის 14 ივნისი) განმარტავს, თუ როგორ წუხდა იმაზე, რომ მის სამშობლოში წიგნების ნაკლებობა იყო განსხვავებით „საბერ-

12 იხ. P. Peeters, in: Anal. Boll., 49 (1931), p. 284-285; Tarchnišvili, Literatur, p. 10, 131, n. 1; D. M. Lang, in: Bull. School Or. Afr. St., 17 (1955), p. 317; P. Devos, in: Anal. Boll., 75 (1957), p. 87, n. 3.

ძნეთისა და ჰრომის“ ეკლესიებისგან, რომელნიც „სავსე იყვნეს ამათ გან“ და გადაწყვიტა მთელი თავისი ძალისხმევა („მოღვაწება“ – იგივე სიტყვა, რაც „ცხოვრებაშია“) იქითკენ წარემართა, რომ ექვთიმე განესწავლა „სწავლითა ბერძულითა სრულად“; რათა მისთვის ბერძნულიდან ქართულად ეთარგმნინებინა ნაშრომები, რომლებიც აკლდათ იბერებს. „ხოლო ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არა ვინ სადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნნი, თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი. არამედ საბერძნეთისა ესე ეკლესიანი და ჰრომისანი სავსე იყვნეს ამათ გან, ხოლო ჩუენისა მის ქუეყანისანი ნაკლულევან. და არა ესოდენ წიგნნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი. ამის თჳს მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთა იოვანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისა თჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქვეყანა ქართლისა წიგნთა გან, და დიდი ხარკება და მოღვაწება ვაჩვენე და შვილი ჩემი ეფთჳმე გავსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გამოთარგმანებად წარემართე წიგნთა ბერძულისა გან ქართულად. და აღიწერნნეს ჩვენ მიერ“¹³... როგორც ჩანს, „იოანეს ანდერძის“ ამ ფრაგმენტს მიუთითებს გიორგი ათონელი, როცა წერს: „რამეთუ, ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა მოლუაწებითა განსწავლულ იქნა (ექვთიმე) ყოვლითა სიბრძნითა...“¹⁴ გამოდის, რომ უმართებულო იქნება, თუ პ. პეტერსის მსგავსად ვიტყვი: „საიდან ჰქონდა ბიოგრაფს ცნობები „ბალაჰვარის“ ბერძნულ ვერსიაზე? როგორც იგი თავად გვეუბნება, „ივირონის ხელნაწერთა ანდერძებიდან“¹⁵ გიორგი მსგავსს არაფერს ამბობს; იგი ექვთიმეს ანდერძების თარგმანებს მხოლოდ იმისთვის მოუხმობს, რათა თავისი სიტყვების შესაბამისად, დაგვანახოს იოანეს ღვაწლი ექვთიმეს ნაშრომებთან დაკავშირებით, და რომ ეს უკანასკნელი მამამისს უნდა უმაღლოდეს თავის განათლებას; და მართლაც, სწორედ ამას ამტკიცებს იოანე თავის „ანდერძში“; „ცხოვრების“ V თავის ბოლო ნაწილი, სადაც ლაპარაკია „ბალაჰვარის“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნაზე, არ შეიძლება მივიჩნიოთ ექვთიმეს ხელნაწერებისთვის დართული ანდერძების მნიშვნელობის დაცვად. სხვათა შორის, ამ ანდერძებში ლაპარაკია მხოლოდ ბერძნუ-

13 ჩვენ მოგვყავს თბილისი, H – 1341-ის ტექსტი; იხ. ქრ. შარაშიძე, ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), III, თბ., 1948, გვ. 282. შდრ. ივირონის cod. 10 (ცაგარელი 67)-ის ტექსტი, რომელიც არასრულად გამოაქვეყნა ბლეიკმა, in: Rev. Or. Chr., 28 (1931-1932), p.339-340.

14 გიორგი იმავე საკითხს უბრუნდება ცხოვრების 45, 1 და 47, 1 თავებში (ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, გვ. 26 და 28; პ. პეტერსის თარგმანი, p. 32, თ. 23 და p. 33, თ. 24); ამ ფრაგმენტებშიც იგი სარგებლობს იოანეს „ანდერძით“.

15 Anal. Boll., 49 (1931), p. 284; იხ. p. 310: „იგი (გიორგი) თავად ამბობს, სად წაიკითხა, რომ ექვთიმემ ეს წიგნი ქართულიდან ბერძნულად თარგმნა“.

ლიდან ქართულად თარგმნაზე. გორგი მთაწმიდელის თარგმანის და მისი დამოწმების ინტერპრეტაციის დაზუსტებას თავისი მნიშვნელობა აქვს. იგი იმას კი არ ეხება, რომ აგიოგრაფის სიტყვებით ექვთიმემ „ბალაჰვარი“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნა, არამედ იმას, რომ დაუშვებელია ვიფიქროთ, რომ მან ეს ცნობა ექვთიმეს ხელნაწერების ანდერძებში ამოიკითხა. წყარო, თუკი ასეთი არსებობს, საიდანაც ექვთიმეს ბიოგრაფია აიღო ინფორმაცია „ბალაჰვარის“ ბერძნულად თარგმნაზე, უცნობია.

*ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბილეიშვილმა
კაკვასიის უნივერსიტეტი*